2022 ანგარიში (სპორტი)

2022 წელს ჩვენი სამსახურის დებულებისა და კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზება გავუკეთეთ სხვადასხვა ღონისძიებას. მ/წელს აღვადგინეთ საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელობის ტურნირი ფუტზალში სკოლებს შორის და გამარჯვებულსა და საუკეთესოს ნომინანტებს გადავეცით შესაბამისი ჯილდოები და საჩუქრები. ფულადი ჯილდო (1500 ლარი) გადავეცით 2021 წლის სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ჩემპიონატის გამარჯვებულ ბავშვთა საფეხბურთო გუნდს (მწვრთნელ-მასწავლებელი მურად კუპრეიშვილი). სენაკის მკვიდრს ბოდიბილდინგერ თამაზ ჟიშკარიანს გადავეცით ერთჯერადი ფულადი დახმარება (1000 ლარი) ბოდიბილდინგში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის სპეციალური მედიკამენტების (დანამატების) შესაძენად. წამახალისებელი ფულადი ჯილდო გადავეცით საქართველოსა და ევროპის ორგზის, ახალგაზრდული ოლიმპიადისა და მსოფლიო ვიცე ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის გიორგი ჩხიკვაძესა და მის მწვრთნელ-მასწავლებელს (2000 ლარი). ორჯერ გადავეცით წამახალისებელი ფულადი ჯილდო 2000 და 1500 ლარი) მიღწეული წარმატებებისათვის ვეტერან ძიუდოისტს, ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორს ელგუჯა გვასალიას. მიღწეული სპორტული შედეგების გათვალისწინებით ფულადი ჯილდოებით წავახალისეთ ძიუდოისტი გოგონები და მათი მწვრთნელ-მასწავლებლები (მარიამ ფარულავა, მია გოგოლი, ნინო ხუნჯუა, ნინო მამულია 300-300, ხოლო ანანო კინწურაშვილი 400 ლარით, უჩა ჯღარკავა და გელა ხარბედია 200-200 ლარით), მოგვიანებით ანანო კინწურაშვილს დამატებით გადაეცა 500 ლარი საერთაშორისო ტურნირებში მიღწეული წარმატებებისათვის, სენაკის მკვიდრს 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონს უშუში ალექსანდრე კუჭავას გადაეცა 1000 (ათასი) ლარი, 1500 (ათას ხუთასი) ლარით დაჯილდოვდა სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალურ ჩემპიონატში გამარჯვებისათვის ფეხბურთში ასაკობრივი გუნდი U10 მწვრთნელ-მასწავლებელი თამაზ ხუხუა, დაჯილდოვდნენ 1500 (ათას ხუთასი) ლარით. სენაკის ნორჩი საკალათბურთო გუნდისათვის, რომელიც 2023 წლიდან საქართველოს ჩემპიონატზე აპირებს გამოსვლას, შევუძინეთ 1500 (ათას ხუთასი) ლარის ღირებულების 15 ცალი კალათბურთის ბურთი. 557 (ხუთას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარით დაუფინანსეთ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი ჩხიკვაძეს ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელი შეკრებაში მინაწილეობის მისაღებად. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან“ ერთად ჩავატარეთ სხვადასხვა სპორტული აქტივობები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ასევე ერთობლივად ჩავატარეთ 3*3 საკალათბურთო ტურნირი გოგონათა და ვაჟთა შორის ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ჩავატარეთ სამოყვარულო ფეხბურთის მუნიციპალური ეტაპის ტურნირი და გამოვავლინეთ გამარჯვებული, რომელსაც აგვისტოს თვეში დავეხმარეთ რეგიონალურ ეტაპზე მონაწილეობაში . გამოვავლინეთ ასევე 7*7 ფეხბურთის მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული, რომელსაც დავეხმარეთ აღნიშნული ტურნირის რეგიონალურ ეტაპზე ტრანსპორტირებაში.